ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

# დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

2018

# ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება
**2018** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

| | გვერდი |
|---|---|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა | 3 |
| დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა | 4 |
| ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 7 |
| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება | 8 |
| წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება | 9 |
| ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება | 10 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 11 |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები | 12 - 19 |

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა**

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (შემდგომში „ორგანიზაცია“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-9) შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

**თამთა მიქელაძე**

დირექტორი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

**მედეა ქღენტი**

ფინანსური მენეჯერი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

MOORE

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

## დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
ი.აბაშიძის ქუჩა #12 ა
თბილისი, საქართველო

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (შემდგომში „ორგანიზაცია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №6-9) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *"აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

### მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №6-9) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Moore Abc is a limited liability company registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)***

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

*ფირმის რეგისტრაციის ნომერი:* SARAS-F-320544
*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:* SARAS-A-865011

ნოემბერი 5, 2019
თბილისი, საქართველო

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| აქტივები | შენიშვნა | 31-დეკ-2018 | 31-დეკ-2017 |
|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| ნაღდი ფული და ბანკი | 3 | 1,029,624 | 257,054 |
| მისაღები გრანტები | 4 | 2,117,599 | 475,279 |
| სხვა აქტივები | 5 | 168,927 | 1,556 |
| მარაგები | | 5,870 | 4,768 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **3,322,020** | **738,657** |
| ძირითადი საშუალებები | 6 | 31,019 | 16,673 |
| არამატერიალური აქტივები | | 13,144 | 13,144 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **44,163** | **29,817** |
| **სულ აქტივები** | | **3,366,183** | **768,474** |
| **ვალდებულებები და წმინდა აქტივები** | | | |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | 8,189 | 8,353 |
| ვალდებულება დონორის მიმართ | | 40,103 | 47,352 |
| გადავადებული შემოსავალი | 7; 8 | 3,266,741 | 669,097 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **3,315,033** | **724,801** |
| შეუზღუდავი წმინდა აქტივები | | 10,000 | 2,100 |
| დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები | | 41,150 | 41,572 |
| **სულ წმინდა აქტივები** | | **51,150** | **43,672** |
| **სულ ვალდებულებები და დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები** | | **3,366,183** | **768,474** |

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2019 წლის 5 ნოემბერს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

## საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

| ცვლილებები წმინდა აქტივებში | შეუზღუდავი წმინდა აქტივები | დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|---|---|
| **შემოსავალი** | | | | |
| EWMI-G1426 | - | 176,120 | 176,120 | 50,333 |
| RFSU-4401-040301-1801 | - | 174,961 | 174,961 | 193,787 |
| OSF-OR2016-29336 | - | 108,780 | 108,780 | 125,779 |
| EU- ENI/2018/395-919 | - | 108,780 | 108,780 | - |
| EPD/SUB-EMC/2018-01 | - | 103,345 | 103,345 | - |
| OSGF-HR/02/18- 20771 | - | 84,647 | 84,647 | - |
| OSF- OR2015-24387 | - | 74,177 | 74,177 | 174,265 |
| OSGF-HR/06/17- 20602 | - | 68,701 | 68,701 | 38,601 |
| BOELL-12421003 | - | 40,395 | 40,395 | - |
| OSGF-EINT/09/17-20645 | - | 36,694 | 36,694 | 5,207 |
| EWMI-G1402 | - | 36,091 | 36,091 | 41,503 |
| OSF- OR2018-45437 | - | 32,771 | 32,771 | - |
| OSGF-MED/13/18-20839 | - | 31,196 | 31,196 | - |
| DUTCH-AVT16/BZ/120646B | - | 30,724 | 30,724 | 0 |
| OSGF-LDD/17/17- 20558 | - | 30,129 | 30,129 | 26,330 |
| OSF- OR2018-41038 | - | 23,598 | 23,598 | - |
| TI Sub-Grants | - | 6,555 | 6,555 | 31,933 |
| OSGF-NINT/07/18-20827 | - | 3,421 | 3,421 | - |
| PHR Sub-Grants | - | 212 | 212 | - |
| EWMI-Prolog-G1247 | - | - | - | 94,631 |
| HBS BMZ | - | - | - | 69,234 |
| BMZ - 03 | - | - | - | - |
| HBF-BMZ-12282044 | - | - | - | 56,863 |
| (G-PAC) | - | - | - | - |
| Income from donations | 10,000 | - | 10,000 | 2,100 |
| სხვა შემოსავალი UNFPA-29-06-2017 | - | - | - | 3,611 |
| **სულ შემოსავალი** | **10,000** | **1,171,299** | **1,181,299** | **914,175** |
| **ხარჯები** | | | | |
| ადმინისტრაციული და პროექტული ხარჯები | - | (1,193,768) | (1,193,768) | (931,794) |
| წმინდა შედეგი საკურსო სხვაობებიდან | - | 19,947 | 19,947 | (11,836) |
| **სულ ხარჯები** | **-** | **(1,173,821)** | **(1,173,821)** | **(943,631)** |
| **ზრდა/ (შემცირება) წმინდა აქტივებში** | 10,000 | (2,522) | 7,478 | (29,455) |
| წმინდა აქტივები წლის დასაწყისში | 2,100 | 41,572 | 43,672 | 73,127 |
| **წმინდა აქტივები წლის ბოლოს** | **12,100** | **39,050** | **51,150** | **43,672** |
| დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები | - | 39,050 | 39,050 | 41,572 |
| შეუზღუდავი წმინდა აქტივები | 12,100 | - | 12,100 | 2,100 |
| **სულ წმინდა აქტივები** | **12,100** | **39,050** | **51,150** | **43,672** |

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2019 წლის 5 ნოემბერს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

მედეა ჯღენტი

ფინანსური მენეჯერი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

## წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

| | შეუზღუდავი წმინდა აქტივები | დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები | სულ |
|---|---|---|---|
| **2016 წლის 31 დეკემბრის ნაშთი** | **7,581** | **65,546** | **73,127** |
| გრანტი | - | 912,075 | **912,075** |
| შემოწირულობები | 2,100 | - | **2,100** |
| ხარჯების დაფინანსება | - | (943,630) | **(943,630)** |
| **2017 წლის 31 დეკემბრის ნაშთი** | **9,681** | **33,991** | **43,672** |
| გრანტი | - | 1,171,297 | **1,171,297** |
| შემოწირულობები | 10,000 | - | **10,000** |
| ხარჯების დაფინანსება | - | (1,173,819) | **(1,173,819)** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის ნაშთი** | **19,681** | **31,469** | **51,150** |

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2019 წლის 5 ნოემბერს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

მედეა ფურცხვანიძე

ფინანსური მენეჯერი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება **2018** წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

## ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება

| დასახელება | Own funds | OSF-OR2015-24387 | RFSU-4401-040301-1801 | OSF-OR2016-29336 | TI Sub-Grants | OSGF-HR/06/17-20602 | OSGF-LDD/17/17-20558 | EWMI-G1426 | OSGF-EINT/09/17-20645 | EWMI-G1402 | PHR Sub-Grants | OSGF-MED/13/18-20839 | OSGF-NINT/07/18-20827 | OSGF-HR/02/18-20771 | OSF-OR2018-41038 | OSF-OR2018-45437 | BOELL-12421003 | EU-ENI/2018/395-919 | EPD/SUB-EMC/2018-01 | DUTCH-AVT16/BZ/120646B | **სულ ხარჯები 2018** | **სულ ხარჯები 2017** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 10,606 | 21,049 | 103,340 | 44,078 | 6,549 | 20,935 | 11,374 | 99,585 | 10,149 | 16,706 | - | 15,034 | 1,811 | 46,792 | 11,892 | 31,582 | 21,290 | 70,885 | 44,773 | 29,426 | **617,856** | **503,195** |
| სხვადასხვა საქონელი და მომსახურება | 14 | 17,624 | 26,306 | 17,335 | - | 24,333 | 3,204 | 18,868 | 15,146 | 3,908 | - | 1,000 | 1,604 | 18,278 | 11,037 | - | 3,404 | 5,510 | 42,849 | 53 | **210,473** | **132,291** |
| კონფერენცია და ტრეინინგი | - | 5,202 | 8,858 | 3,092 | - | 3,910 | - | 13,881 | 2,342 | 2,600 | - | 11,053 | - | 1,658 | - | - | - | 8,421 | 450 | 193 | **61,660** | **39,798** |
| საიჯარო ქირა | - | 7,926 | 10,953 | 8,462 | - | 4,737 | - | 12,852 | - | 3,587 | - | - | - | 4,167 | - | - | 6,618 | 6,768 | - | - | **66,070** | **60,796** |
| თარგმნის ხარჯი | 110 | 5,674 | 7,173 | 11,125 | - | 5,459 | 5,657 | 8,117 | 2,598 | 3,620 | - | 2,080 | - | 4,098 | - | - | 2,176 | 6,379 | 5,208 | - | **69,474** | **19,568** |
| გამოცემის ხარჯი | - | - | - | 6,212 | - | 800 | 4,100 | - | 4,200 | 3,250 | - | - | - | 2,941 | - | - | - | 3,990 | - | - | **25,493** | **21,014** |
| ტრანსპორტირება | 1,465 | 1,980 | 3,570 | 3,270 | - | 628 | 645 | 6,705 | 631 | 228 | - | 1,425 | - | 1,266 | 262 | 150 | 2,700 | 1,805 | 4,000 | 180 | **30,910** | **23,268** |
| მივლინება და სასტუმრო | - | 280 | 349 | 6,651 | - | - | 1,517 | 3,136 | - | - | 210 | 290 | - | 2,392 | - | - | 826 | 1,869 | - | 40 | **17,560** | **34,846** |
| კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი | 150 | 5,329 | 9,215 | 646 | - | 2,947 | 1,428 | 3,252 | 143 | 1,351 | - | - | - | 1,739 | 140 | 755 | 2,425 | 730 | 4,091 | 177 | **34,518** | **21,416** |
| ცვეთა | 9,137 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **9,137** | **19,587** |
| საკანცელარიო ხარჯი | - | 3,259 | 810 | - | - | 200 | - | 2,536 | 1,140 | 156 | - | - | - | - | - | - | - | 1,155 | 412 | 62 | **9,730** | **7,889** |
| საოფისე ხარჯი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** | **-** |
| ბანკის საკომისიო | 339 | 326 | 344 | 315 | 6 | 48 | 30 | 191 | 45 | 23 | 2 | 14 | 6 | 424 | 17 | 18 | 227 | 285 | 358 | 25 | **3,043** | **1,885** |
| სხვა საერთო და არასაოპერაციო ხარჯი | 647 | 5,529 | 4,043 | 7,594 | - | 4,704 | 2,173 | 6,997 | 300 | 662 | - | 300 | - | 892 | 250 | 266 | 730 | 983 | 1,204 | 570 | **37,845** | **46,243** |
| **სულ ხარჯები** | **22,468** | **74,178** | **174,961** | **108,780** | **6,555** | **68,701** | **30,128** | **176,120** | **36,694** | **36,091** | **212** | **31,196** | **3,421** | **84,648** | **23,598** | **32,771** | **40,396** | **108,780** | **103,345** | **30,725** | **1,193,768** | **931,794** |

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2019 წლის 5 ნოემბერს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| საგრანტო დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრები | 2,203,699 | 945,288 |
| შემოწირულობები | 10,000 | 2,100 |
| ქვე-გრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები | (168,266) | - |
| თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასები | (502,370) | (415,805) |
| მიღებული მომსახურება და შეძენილი საქონელი | (272,004) | (100,391) |
| გადახდილი გადასახადები | (182,848) | (152,998) |
| პრეზენტაციისთვის გადახდილი თანხები | (62,938) | (46,191) |
| იჯარის ხარჯი | (52,856) | (48,638) |
| ოფისის ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები | (46,134) | (31,651) |
| ტრანსპორტირებისთვის გადახდილი თანხები | (29,838) | (14,590) |
| წიგნებისთვის პუბლიკაციებისთვის გადახდილი თანხები | (26,179) | (21,794) |
| მივლინების ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები | (16,731) | (14,455) |
| დაქირავებულებზე გაცემული ჰონორარები | (2,381) | (25,834) |
| საბანკო ხარჯი | (3,457) | (1,986) |
| სხვა ხარჯები | (38,805) | (40,967) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | **808,892** | **32,088** |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (18,238) | (2,815) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(18,238)** | **(2,815)** |
| **ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა** | **790,654** | **29,273** |
| კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) | (18,084) | (1,301) |
| **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენდები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში** | **257,054** | **229,082** |
| **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის** | **1,029,624** | **257,054** |

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2019 წლის 5 ნოემბერს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

**შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ**

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ს/კ 404432565), წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო აქტივისტებს. იგი წარმოადგენს აქტივისტებისა და უფლება დამცველთა ღია პლატფორმას, ერთგვარ რესურსს, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც აქვს ყველა მსურველს, ვინც იზიარებს EMC-ის მიერ დეკლარირებულ ღირებულებებს.

ორგანიზაცია დაარსდა 2012 წლის 28 ნოემბერს, სხვადასხვა გამოცდილების მქონე აქტივისტების მიერ. ამ დროიდან მოყოლებული, EMC ცდილობს იმუშავოს მარგინალიზებული და დისკრიმინირებული ჯგუფების უფლებების დაცვის, სამართალდამცავი ორგანოების სისტემური რეფორმირების, სტრუქტურული ძალადობისა და სოციალური ჩაგვრის საკითხებზე. ორგანიზაციის ძირითადი ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი უსახლკარო პირები, მძიმე სამუშაო პირობებში დასაქმებულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ლგბტ ადამიანები და რელიგიური ჯგუფები. თავის საქმიანობაში EMC იყენებს კვლევის, მონიტორინგის, ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტრუმენტებს.

აღნიშნულ თემატიკაზე EMC ოთხი ძირითადი პროგრამული მიმართულებით მუშაობს:

- კრიტიკული პოლიტიკისა და სოლიდარობის პლატფორმა;
- თანასწორობის პოლიტიკის პროგრამა;
- მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამა;
- სოციალური პოლიტიკის პროგრამა;

ორგანიზაციული სტრუქტურა ჰორიზონტალურია და მას სამი პროგრამის დირექტორი კოლეგიურად, თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით, მართავს. ორგანიზაციისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტა EMC-ის გუნდის მიერ კონსენსუსის გზით ხდება.

EMC-ის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტების პლატფორმის მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს ალტერნატიული სააზროვნო სივრცის შექმნას და სტუდენტებისა და აქტივისტთა ორგანიზებული ჯგუფების მხარდაჭერას.

ამჟამად ორგანიზაცია აერთიანებს იურისტებისაგან, სოციოლოგებისაგან, ჟურნალისტებისა და გენდერის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ 24-კაციან გუნდსა და სხვადასხვა პროფესიის მქონე არაერთ კონტრიბუტორს, რომელთა ერთობლივი მუშაობაც მიმართულია EMC-ის მისიაში დეკლარირებული მიზნების შესრულებისაკენ.

2017 წლის 1 აგვისტოს დაიდო გრანტის ხელშეკრულება ,,USAID PROLoG"-სა და EMC-ს შორის პროგრამის ,,სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მარგინალიზებული " განსახორციელებლად. გრანტის თანხამ შეადგინა 115,344 აშშ დოლარი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2017 წლის 01 აგვისტოდან 2019 წლის 28 აგვისტომდე. **(EWMI-G1426).**

2018 წლის 01 იანვარს RFSU-ს და EMC-ს შორის დაიდო გრანტის ხელშეკრულება პროექტის ,,ლგბტქი პირთა უფლებების გაძლიერება, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივისტთა მხარდაჭერა" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. გრანტის თანხამ შეადგინა 3,500,000 შვედური კრონა. **(RFSU-4401-040301-1801).**

2016 წლის 24 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება ,,ღია საზოგადოების ხელშეწყობის ფონდი " და EMC-ს შორის პროგრამის ,,საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემების ინტეგრაციის, მარგინალიზაციის და რადიკალიზაციის პრობლემებზე რეაგირება" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდი შეადგენს 2017 წლის 01 იანვრიდან, 2018 წლის 30 ივნისამდე, ხოლო გრანტის თანხამ შეადგინა 97,978 აშშ დოლარი. **(OSF-OR2016-29336).**

2018 წლის 30 აპრილს დაიდო გრანტის ხელშეკრულება ,,ევროკავშირსა" და EMC-ს შორის პროგრამის „სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა" განსახორციელებლად. პროგრამის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 1 მაისამდე. გრანტის თანხამ შეადგინა 267,780.82 ევრო. **(EU-ENI/2018/395-919).**

**შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ *(გაგრძელება)***

2018 წლის 30 აპრილს დაიდო ხელშეკრულება "ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისთვის ASBL"-სა და EMC-ს შორის პროგრამის „მედიაციის მექანიზმის გაუმჯობესება - INSPIRED + Georgia" განსახორციელებლად. პროგრამის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 1 თებერვლიდან 2019 წლის 31 მარტამდე. გრანტის თანხამ შეადგინა 55,000 ევრო. **(EPD/SUB-EMC/2018-01).**

2018 წლის 2 აპრილს ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოსა" და EMC-ს შორის დაიდო გრანტის ხელშეკრულება პროექტის „სისტემის რეფორმების ადვოკატირება სამართალდამცავ სისტემაში" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 2 აპრილიდან 2019 წლის 2 აპრილამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 47,509 აშშ დოლარს. **(OSGF-HR/02/18- 20771).**

2016 წლის 3 სექტემბერს დაიდო გრანტის ხელშეკრულება ,,ღია საზოგადოების ინსტიტუტსა"და EMC-ს შორის პროგრამის „ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საპოლიციო და სისხლის სამართლის სისტემაში" განსახორციელებლად. გრანტის თანხამ შეადგინა 160,000 აშშ დოლარი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2016 წლის 01 თებერვლიდან 2018 წლის 28 თებერვლამდე. **(OSF- OR2015-24387).**

2017 წლის 15 ივნისს დაიდო გრანტის ხელშეკრულება ,,ღია საზოგადოება-საქართველო"-სა და EMC-ს შორის პროგრამის ,,ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის 2016-2017 მონიტორინგი ქალთა, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების გათვალისწინებით" განსახორციელებლად. გრანტის თანხამ შეადგინა 48,401.25 აშშ დოლარი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2017 წლის 15 ივნისიდან 2018 წლის 15 აგვისტომდე. **(OSGF-HR/06/17-20602).**

2018 წლის 15 თებერვალს დაიდო გრანტის ხელშეკრულება „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსა" და EMC-ს შორის პროგრამის „სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიები და მათი სოციო-ეკოლოგიური ასპექტები" განსახორციელებლად. პროგრამის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 15 თებერვლიდან 2018 წლის 25 დეკემბრამდე. გრანტის თანხამ შეადგინა 41,660 ლარი (13,900 ევრო). **(BOELL-12421003).**

2017 წლის 22 სექტემბერს დაიდო გრანტის ხელშეკრულება ,,ღია საზოგადოება-საქართველო"-სა და EMC-ს შორის პროგრამის ,,შრომის და დასაქმების სფეროში მოწყვლადი ჯგუფების თანასწორობის ხელშეწყობა" განსახორციელებლად. გრანტის თანხამ შეადგინა 16,226.5 აშშ დოლარი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2017 წლის 22 სექტემბრიდან 2018 წლის 22 ივნისამდე. **(OSGF-EINT/09/17-20645).**

2017 წლის 1 ივნისს დაიდო გრანტის ხელშეკრულება ,,USAID PROLoG"-სა და EMC-ს შორის პროგრამის ,,საგამოძიებო სისტემის რეფორმა სამართლიანი და ეფექტური სისხლის სამართლის სისტემის შექმნელად" განსახორციელებლად. გრანტის თანხამ შეადგინა 31,450 აშშ დოლარი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2017 წლის 01 ივნისიდან 2018 წლის 31 მარტამდე. **(EWMI-G1402).**

2018 წლის 15 ოქტომბერსს დაიდო გრანტის ხელშეკრულება ,,ღია საზოგადოების ხელშეწყობის ფონდი " და EMC-ს შორის პროგრამის „ ქმედუნარიოანობის ინსტიტუტის განხორეციელების ხელშეწყობა საქართველოში" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდი შეადგენს 2018 წლის 10 ოქტომბრიდან, 2020 წლის 10 ოქტომბრამდე, ხოლო გრანტის თანხამ შეადგინა 279,459 აშშ დოლარი. **(OSF-OR2018-45437).**

2018 წლის 12 ნოემბერს ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოსა„ და EMC-ს შორის დაიდო გრანტის ხელშეკრულება პროექტის „სისტემური რეფორმების ხელშეწყობა სამართალდამცავ ორგანოებში" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 12 ნოემბრიდან 2019 წლის 12 ნოემბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 87,000 აშშ დოლარს. **(OSGF-MED/13/18-20839).**

2018 წლის 21 აგვისტოს "ნიდერლანდების სახელწიფოსა" და EMC-ს შორის დაიდო გრანტის ხელშეკრულება პროექტის „არა-დომინანტი რელიგიური ჯგუფების უფლებების დაცვის მხარდაჭერა კვლევისა და მონაწილეობითი ადვოკატირების გზით" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდი შეადგენს 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 1 აპრილამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 342,900 ლარს. **(DUTCH-AVT16/BZ/120646B).**

**შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ *(გაგრძელება)***

2017 წლის 4 ივლისს დაიდო გრანტის ხელშეკრულება ,,ღია საზოგადოება-საქართველო"-სა და EMC-ს შორის პროგრამის ,,სათანადო საცხოვრისის უფლების დაცვის ხელშეწყობა, უსახლკაროთა პრობლემატიკის აქტუალიზებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილების გზით" განსახორციელებლად. გრანტის თანხამ შეადგინა 24,961 აშშ დოლარი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2017 წლის 04 ივლისიდან 2018 წლის 04 ნოემბრამდე. **(OSGF-LDD/17/17-20558).**

2018 წლის 28 აგვისტოს „ღია საზოგადოების ფონდ"-სა და EMC-ს შორის დაიდო გრანტის ხელშეკრულება პროექტის „სოციალური სამართლიანობა კრიზისის დროს" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 31 აგვისტომდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 68,933 აშშ დოლარს. **(OSF- OR2018-41038).**

2017 წლის 24 მაისს დაიდო ქვეგრანტის ხელშეკრულება ააიპ ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოსა" და EMC-ს შორის პროგრამის ,,უსაფრთხოების სექტორის თანამედროვე სისტემის შექმნის ადვოკატირება" განსახორციელებლად. გრანტის თანხამ შეადგინა 17,290 აშშ დოლარი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2017 წლის 24 მაისიდან 2018 წლის 28 თებერვლამდე. **(TI Sub-Grants).**

2018 წლის 8 ნოემბერს ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოსა" და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის „ქვემო ქართლსა და პანკისში ადგილობრივი აქტივისტების კრიტიკული ცოდნისა და მონაწილეობის მხარდაჭერა" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 8 ნოემბრიდან 2019 წლის 8 აგვისტომდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 25,000 აშშ დოლარს. **(OSGF-NINT/07/18-20827).**

2018 წლის 18 ოქტომბერს ააიპ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვისა და EMC-ს შორის დაიდო ხელშეკრულება პროექტის „თანასწორი გარემოს ხელშეწყობა, ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის გამოყენებით" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდი შეადგენს 2018 წლის 17 ოქტომბრიდან 2019 წლის 17 ოქტომბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 15,000 აშშ დოლარს. **(PHR Sub-Grants).**

2016 წლის 25 ივლისს დაიდო ხელშეკრულება ,,USAID"-სა და EMC-ს შორის პროგრამის ,,იუსტიციის საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ზრდა" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდმა შეადგინა 2016 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 ივლისამდე, ხოლო გრანტის მთლიანი თანხაა 92,819 აშშ დოლარი. **(EWMI-Prolog-G1247).**

2015 წლის 1 მარტს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდსა და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის ,,სოლიდარობის ქსელი LGBT ადამიანებისათვის სომხეთსა და საქართველოში" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2015 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 31 ოქტომბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 58,506 ევროს. **(HBS-EIDHR-2014-348-110).**

2017 წლის 16 იანვარს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსა" და EMC-ს შორის პროგრამის ,,სოციალური პროტესტი: გამოცდილება და პერსპექტივები" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდი შეადგენს 2017 წლის 16 იანვრიდან, 2017 წლის 30 ნოემბრამდე, ხოლო გრანტის თანხაა 56,164 ლარი. **(HBF-BMZ-12282044).**

**შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა**

**(ა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №6-9) მიხედვით.

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის პრინციპის და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

(ა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები *(გაგრძელება)*

პირვანდელი ღირებულების პრინციპის მიხედვით აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარავად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება.

(ბ) შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, შესრულებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

(გ) ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. თუმცა, ზოგიერთი გრანტი დონორისგან მიღებულია ევროში, შვედურ კრონაში და დოლარში. ზოგიერთი ფინანსური რეპორტი დონორთან წარდგენილია ევროში და დოლარში, თუმცა ანგარიშგება მზადდება ლარებში. ძირითადი ოპერაციები სრულდება ქართულ ლარებში.

(დ) უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

| | დეკემბერი 31, 2018 | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|
| ლარი / 1 აშშ დოლარი | 2.6766 | 2.5922 |
| ლარი / 1 ევრო | 3.0701 | 3.1044 |
| ლარი / 10 შვედური კრონა | 2.9929 | 3.1571 |

(ე) საგრანტო შემოსავალი და გადავადებული გრანტი

ორგანიზაცია დონორისგან მისაღებ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხებს აღრიცხავს როგორც გადავადებულ გრანტს. ხოლო პროგრამის შესაბამისი დანახარჯების გაწევის და მათი აღიარების შემდეგ, შესაბამისი თანხით მცირდება გადავადებული გრანტის ოდენობა და ხდება ამ თანხის შემოსავლად აღიარება.

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

**(ზ) გადასახადები**

EMC, როგორც არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, იხდის შემდეგ გადასახადებს:

**საშემოსავლო გადასახადი (20%)** - აღნიშნული გადასახადი გადაიხდება მთლიანი ხელფასიდან და მასთან დაკავშირებული შეღავათებიდან, რომლებიც თანამშრომლებზე გაიცემა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გადასახადი ხარჯების ანგარიშგებაში შედის, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი და მასთან დაკავშირებული შეღავათები.

**საპენსიო სქემა** - 2018 წლის 21 ივნისს საქართველომ მიიღო კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. დაგროვებითი საპენსიო სქემა 6% -იან შენატანს ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული თავისი დასაბეგრი ხელფასის 2% -ს გადარიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადარიცხავს დამატებით 2% -ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაირიცხება კიდევ 2%, როგორც დამსაქმებელი, ორგანიზაცია გადარიცხავს 2% -ს თავის მხრივ და ეს გადასახადები არ არის მოცემული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ (18%) –** აღნიშნული გადასახადი გადაიხდება:
ა) საგადასახადო აგენტისათვის არარეზიდენტი ფიზიკური პირის ან არარეზიდენტის საწარმოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებაზე;
ბ) პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა;
გ) საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის (საპროექტო დოკუმენტაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური სქემა, პროგრამა და სხვა) მიწოდება ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით, თუ იგი არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ინტეგრირებული სქემის ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებლის საშუალებით.
დ) საბაჟო საწყობში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისგან შეძენილი უცხოური საქონელი, რომელიც იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში ექცევა.

**(თ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

| აქტივების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---|---|
| კომპიუტერი და ტექნიკა | 2 - 5 წელი |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 2 - 5 წელი |
| არამატერიალური აქტივები | 2 - 5 წელი |

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე მოგების განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

**(ი) წმინდა აქტივების კლასიფიკაცია**

წმინდა აქტივები შედგება შეუზღუდავი წმინდა აქტივებისა და დროებით შეზღუდული წმინდა აქტივებისაგან:

**შეუზღუდავი წმინდა აქტივები –** წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ შემოსავლებს და დონორისგან მიღებულ იმ შენატანებს, რომლებზეც არ ვრცელდება დონორის შეზღუდვები. ეს წმინდა აქტივები ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია საოპერაციო მიზნებისათვის.

**დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები –** წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

**შენიშვნა 2:** სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

**(ი) წმინდა აქტივების კლასიფიკაცია** *(გაგრძელება)*

**მუდმივად შეზღუდული წმინდა აქტივები** -წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

**(კ) შემოსავალი**

შემოსავლებში იგულისხმება შეუზღუდავი და დროებით შეზღუდული ფონდის შესავსებად განხორციელებული შენატანები, საწევრო შენატანები, შემოწირულობები, დივიდენდები, პროცენტები და სხვა სახის სარგებელი, რომელიც ზრდის ორგანიზაციის კომპანიის ფონდებს. შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს გრანტით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გრანტით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

**შენიშვნა 3:** ნაღდი ფული და ბანკი

ფული ბანკში ვალუტების მიხედვით

| | 31-დეკ-2018 | 31-დეკ-2017 |
|---|---|---|
| ლარი | 504,056 | 80,357 |
| აშშ დოლარი | 295,655 | 134,747 |
| ევრო | 229,913 | 41,950 |
| **სულ ნაღდი ფული და ბანკი** | **1,029,624** | **257,054** |

**შენიშვნა 4:** მისაღები გრანტები

| | 31-დეკ-2018 | 31-დეკ-2017 |
|---|---|---|
| RFSU-4401-040301-1801 | 805,457 | - |
| OSF- OR2018-45437 | 561,000 | - |
| EU- ENI/2018/395-919 | 423,755 | - |
| DUTCH-AVT16/BZ/120646B | 114,300 | - |
| OSGF-MED/13/18-20839 | 68,908 | - |
| EWMI-G1426 | 48,483 | 240,940 |
| EPD/SUB-EMC/2018-01 | 30,701 | - |
| PHR Sub-Grants | 29,218 | - |
| OSGF-NINT/07/18-20827 | 22,591 | - |
| OSGF-EINT/07/18-20830 | 9,944 | - |
| EWMI-G1402 | 2,447 | 36,237 |
| OSGF-EINT/09/17-20645 | 471 | 10,588 |
| BOELL-12421003 | 168 | - |
| TI Sub-Grants | 156 | - |
| OSF-OR2016-29336 | - | 84,660 |
| OSGF-HR/06/17- 20602 | - | 66,691 |
| OSGF-LDD/17/17- 20558 | - | 36,164 |
| **სულ მისაღები გრანტები** | **2,117,599** | **475,279** |

**შენიშვნა 5: სხვა აქტივები**

სხვა აქტივები ძირითადად წარმოადგენს "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI)-სა და "კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი" (CRRC Georgia)-ზე გაცემულ თანხებს, პროგრამის „სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა" განსახორციელებლად, რომელიც დაფინანსდა „ევროკავშირის"-მიერ. გრანტის ხელშეკრულების მიხედვით, მხარეებს წარმოადგენს სამი კონტრაქტორი ორგანიზაცია: EMC, "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI) და "კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი" (CRRC Georgia) და პროექტის კოორდინატორს წარმოადგენს EMC.

| | 31-დეკ-2018 | 31-დეკ-2017 |
|---|---|---|
| "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI) | 86,475 | - |
| "კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი" (CRRC Georgia) | 81,791 | - |
| **სულ სხვა აქტივები :** | **168,266** | **-** |

**შენიშვნა 6: ძირითადი საშუალებები**

**2018 წელი**

| | კომპიუტერული ტექნიკა | სხვა | ჯამი |
|---|---|---|---|
| ისტორიული ღირებულება | | | |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 41,476 | 7,370 | 48,846 |
| შეძენა | 15,325 | 8,159 | 23,484 |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის** | **56,801** | **15,529** | **72,330** |
| აკუმულირებული ცვეთა | | | |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 27,554 | 4,619 | 32,173 |
| წლის ცვეთა | 6,312 | 2,825 | 9,137 |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის** | **33,866** | **7,444** | **41,311** |
| ნეტო ღირებულება | | | |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 13,922 | 2,751 | 16,673 |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის** | **22,934** | **8,085** | **31,019** |

**2017 წელი**

| | კომპიუტერული ტექნიკა | სხვა | ჯამი |
|---|---|---|---|
| ისტორიული ღირებულება | | | |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | 40,832 | 4,555 | 45,387 |
| შეძენა | 644 | 2,315 | 3,459 |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის** | **41,476** | **7,370** | **48,846** |
| აკუმულირებული ცვეთა | | | |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | 15,851 | 3,209 | 19,060 |
| წლის ცვეთა | 11,703 | 1,410 | 13,113 |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის** | **27,554** | **4,619** | **32,173** |
| ნეტო ღირებულება | | | |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | 24,981 | 1,346 | 26,327 |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის** | **13,922** | **2,751** | **16,673** |

### შენიშვნა 7. გადავადებული შემოსავალი

| | 31-დეკ-2018 | 31-დეკ-2017 |
|---|---|---|
| RFSU-4401-040301-1801 | 894,891 | - |
| OSF- OR2018-45437 | 714,727 | - |
| EU- ENI/2018/395-919 | 706,974 | - |
| DUTCH-AVT16/BZ/120646B | 314,582 | - |
| OSGF-MED/13/18-20839 | 169,427 | - |
| OSF- OR2018-41038 | 160,125 | - |
| OSGF-NINT/07/18-20827 | 63,489 | - |
| EWMI-G1426 | 60,701 | - |
| OSGF-EINT/07/18-20830 | 53,531 | - |
| EPD/SUB-EMC/2018-01 | 47,477 | - |
| PHR Sub-Grants | 40,045 | - |
| OSGF-HR/02/18- 20771 | 36,779 | - |
| OSGF-LDD/17/17- 20558 | 3,993 | 36,968 |
| EWMI-PROLoG-1247 | - | 10,113 |
| TI Sub-Grants | - | 36,258 |
| OSGF-EINT/09/17-20645 | - | 38,357 |
| OSF-OR2016-29336 | - | 245,058 |
| OSF- OR2015-24387 | - | 121,506 |
| OSGF-HR/06/17- 20602 | - | 97,070 |
| EWMI-G1402 | - | 83,767 |
| **სულ გადავადებული შემოსავალი** | **3,266,741** | **669,097** |

### შენიშვნა 8: გადავადებულ გრანტებში მოძრაობა

| | 31-დეკ-2018 | 31-დეკ-2017 |
|---|---|---|
| გადავადებული გრანტის საწყისი ნაშთი | 669,097 | 750,082 |
| დამატებული: პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებები | 3,768,943 | 827,479 |
| გამოკლებული: პერიოდის შემოსავლებში გადატანილი გადავადებული გრანტები | (1,171,299) | (908,464) |
| **გადავადებული გრანტის საბოლოო ნაშთი** | **3,266,741** | **669,097** |

### შენიშვნა 9: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

**სასამართლო საქმეების წარმოება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაცია არ იყო ჩართული სასამართალწარმოებაში.

**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

**შენიშვნა 9: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები *(გაგრძელება)***

**საოპერაციო გარემო**

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ბაზრის საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

**- დოკუმენტის დასასრული -**